პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 207 (3691)

20 ოქტომბერი 1968 წ. კვირა

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.




# ბრძოლები ექვატორზე

ვიქტორ სანეევის ბრწყინვალე შედეგის შესახებ სტადიონზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ მეხიკოს საღამოს გაზეთები სამხტომში ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდის დაბადებას იუწყებოდნენ. ოლიმპიადის დედაქალაქის პრესა საერთოდ დიდ ადგილს უთმობს „სპორტის დედოფლის" რაინდთა ასპარეზობას. სანეევის მიღწევით გამოწვეული აჟიოტაჟი არც მიმწყდარიყო, რომ მაყურებლები ახალი ფენომენალური შედეგის მოწმენი გახდნენ. მათ კი, ვინც სტადიონზე მოსვლა დააგვიანა, ვერ ნახეს ამერიკელი რ. ბიმონის ავაზისებური ნახტომი.




ბ. სელიცკი

სიგრძეზე მხტომელთა ფინალური ტურნირის პირველივე ცდაზე სპორტსმენმა ტარტანის ბილიკზე უსწრაფესად გაირბინა, შესანიშნავად აირეკნა და როცა მსაჯებმა მისი შედეგი გაზომეს, სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: 890 სმ, — ასეთია ამერიკელ ბიმონის ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი. ეს შედეგი 78 სმ-ით სჯობს რ. ბოსტონის მიერ რომში დამყარებულ ოლიმპიურ რეკორდს და 55 სმ-ით აღემატება იმავე ბოსტონის მიერ 1965 წელს მოდესტოში ნაჩვენებ მსოფლიო მიღწევას.

ბიმონის ამ წარმატებამ „ნოკაუტში" ჩააგდო თითქმის ყველა მისი მეტოქე. უხალისოდ იბრძოდნენ რ. ბოსტონი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ინგლისელი ლ. დევისი და სხვა ოქროს მაძიებლები. მხოლოდ 25 წლის კ. ბეერი (გდრ) და საბჭოთა ათლეტები ი. ტერ-ოვანესიანი და ტ. ლეპიკი ცდილობდნენ სიხალისე შეეტანათ ასპარეზობაში, მაგრამ ამაოდ. ბეერმა საბოლოოდ 819 სმ აჩვენა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბოსტონი ბრინჯაოს დასჯერდა — 816, მეოთხე ოლიმპიადის მონაწილე ტერ-ოვანესიანი IV ადგილზე გავიდა — 812, ლეპიკი კი V იყო — 809. სიგრძეზე ხტომის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ერთ შეჯიბრებაში 6 ათლეტმა გადაახტა 8-მეტრიან ზღვარს.

პოლონელმა ი. კირშენშტეინ-შევინსკამ 200 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი დაამყარა — 22,5. ეს 0,5 წამით სჯობს ე. მაკგუაირის (აშშ) მიერ ტოკიოში დამყარებულ ოლიმპიურ რეკორდს და 0,2 წამით — ბ. ფერელის (აშშ) მსოფლიო მიღწევას. სამწუხაროდ, სსრ კავშირის სპორტსმენები ამ სახეობის ფინალშიც ვერ მოხვდნენ.

400 მეტრზე რბენაში რეკორდები დაამხო ამერიკელმა ზანგმა ლ. ევანსმა — 43,8. მან ერთბაშად 1,1 წამით გააუმჯობესა თანამემამულე ო. დევისის რომაული ოლიმპიური მიღწევა. ევანსის ახლანდელი მაჩვენებელი მსოფლიოს რეკორდიცაა და 0,2 წამით აღემატება ორიოდე თვის წინ საუთ-ლეიკ-ტაჰოში მის მიერვე ნაჩვენებ შედეგს.

სსრ კავშირის სპორტსმენებისთვის უიღბლო გამოდგა 80 მეტრზე თარჯრბენის სტარტი. მსოფლიოს რეკორდსმენმა გ. კორსაკოვამ წინასწარ ტურნირში V ადგილი დაიკავა და ბრძოლას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა თბილისელმა ლ. იევლევამაც. საქართველოს რეკორდსმენი სტარტზევე ჩამორჩა, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა. ფინიშამდე რამდენიმე მეტრი რომ დარჩა, იგი მესამე მირბოდა, მაგრამ ცუდი ფინიშის გამო მკერდით წააგო (10,6) და დაკარგა მომდევნო ეტაპზე გამოსვლის უფლება. სსრ კავშირის გუნდიდან ფინალში გავიდა მხოლოდ ტ. ტალიშევა, რომელმაც საბოლოოდ VIII ადგილი დაიკავა — 10,7. ოლიმპიური რეკორდით ჩემპიონი გახდა 17 წლის ავსტრალიელი მ. კეირდი — 10,3. კ. ბალცერის (გდრ) მიერ ტოკიოში ნაჩვენები შედეგი 10,5 წამს უდრიდა. ჯერჯერობით კეირდი ყველაზე ახალგაზრდაა მეხიკოს ჩემპიონებში.

ბადროს მტყორცნელ ქალებში მთავარ ფავორიტებად ვესტერმანი (გფრ) და შპილბერგი (გდრ) მიაჩნდათ, მაგრამ გამარჯვება სულ სხვამ — რუმინელმა ლ. მანოლიუმ დაისაკუთრა. მან ერთ-ერთი ფინალური ტყორცნისას 58,28 მ აჩვენა, რაც 101 სანტიმეტრით სჯობს თ. პრესის მიერ 1964 წლის ოლიმპიადაში დამყარებულ რეკორდს.

სსრ კავშირის მძლეოსნებს წარმატება ვერც 800 მეტრზე ქალთა რბენამ მოუტანა. ვერც ლ. ერიკი და ვერც ა. ზიმინა ბრძოლის შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდნენ. სამაგიეროდ, კარგად დაიწყეს ათჭიდელებმა. მაგრამ აქ რ. აუნს უმუხთლა ბედმა. მან ფეხი იტკინა და ტურნირს გამოეთიშა. პირველი დღის შემდეგ ლიდერობს ვ. ტუმეი (აშშ) — 4.499 ქულა. ნ. ავილოვს 4.195 ქულა აქვს.

ცეცხლის მსროლელების პირველი კარჯიში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 60 გასროლა იყო. გამარჯვებას 72 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს. ჰ. მერტელმა (გფრ) ბრძოლა 562 ქულით დაამთავრა. ეს 2 ქულით სჯობს ძველ ოლიმპიურ რეკორდს. მოსკოვის ოლქის პედინსტიტუტის სტუდენტს გ. კოსიხს ასეთივე მაჩვენებლისთვის რომ მიეღწია, ბოლო გასროლით ტყვია ზუსტად „ათიანში" უნდა მოეხვედრებინა. სპორტსმენი პასუხისმგებლობას გრძნობდა და გადამწყვეტი გასროლისთვის დიდხანს გულმოდგინედ ემზადებოდა. საბოლოოდ მან მართლაც მიაღწია მიზანს. ჩემპიონის დასადგენად მსაჯებმა „ათიანები" დაითვალეს. მეტოქეებს აქაც ერთნაირი ბალანსი აღმოაჩნდათ. საქმე გადაწყვიტა „ათიანების" უკეთესმა ხარისხმა. ჩემპიონი გახდა კოსიხი.

ბრასით ცურვაში წარმატებას სპეციალისტები თავიდანვე სსრ კავშირის სპორტსმენებს უწინასწარმეტყველებდნენ. და აი, ვარაუდი ჯერჯერობით მართლდება: 100 მეტრზე ასპარეზობის ფინალში გ. პროზუმენშჩიკოვაც გავიდა და ს. ბაბანინაც. ვაჟებიდან მედლებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს ე. მიხაილოვმა, ნ. პანკინმა და ვ. კოსინსკიმ, რომელმაც ნახევარფინალში ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა — 1.07,9.

ტრეკზე ველორბოლაში გამოვლინდა კიდევ ერთი ჩემპიონი: 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა დ. რებილარმა (საფრანგეთი) — 4.41,71.



გ. კოსიხი

სპრინტერებმა მერვედფინალები და მერვედფინალური შეჯიბრებები გამართეს. სსრ კავშირის ჩემპიონმა თბილისელმა ო. ფხაკაძემ ორივეჯერ წარმატებით იასპარეზა და ნახევარფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე იქნება იტალიელი დ. ვერზინი. სამაგიეროდ, ტურნირს გამოაკლდა 20 წლის ხარკოველი ს. კრავცოვი. ამ უკანასკნელმა მერვედფინალში წააგო გიტში თამაშების ჩემპიონთან ტრანტენთან (აღვნიშნავთ, რომ კრავცოვმა გიტში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 1.05,21).

წყალბურთში (რაპირა) სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა ჯერ ამერიკელებს მოუგო (12:4), შემდეგ ინგლისელებს (9:2) და ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს.

ჭიდაობაში ოქროს მედლებისთვის იბრძვის 10 საბჭოთა სპორტსმენი. ასპარეზობას გამოაკლდა მხოლოდ ვ. ზაპოროჟეცი.

აფრიანი ნავებით „ფინის" კლასის შეჯიბრებაში ლიდერობს კიეველი ვ. მანკინი.

ფეხბურთელთა ტურნირი მეხიკოს გარდა ტარდება ამ ქვეყნის კიდევ სამ ქალაქში: პუებლოში, ლეონსა და გვადალახარაში. დამთავრდა მერვედფინალური შეხვედრები. ამჟამად მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებენ უნგრეთის, ბულგარეთის, მექსიკის, საფრანგეთის, ესპანეთის, იაპონიის, გვატემალისა და ისრაელის კოლექტივები. ჩეხოსლოვაკიის გუნდმა წააგო გვატემალასთან 0:1, მაგრამ მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსები მაინც ჰქონდა. საამისოდ საჭირო იყო გვატემალას მოეგო ბულგარეთისთვის, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებს დიდი ანგარიშით (8:0) დაემარცხებინათ ტაილანდი. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა ამოცანა წარმატებით გადაწყვიტეს და მეტოქეს ზუსტად ამ ანგარიშით მოუგეს, მაგრამ ბულგარეთმაც მოიპოვა გამარჯვება — 2:1. დღეს იწყება მეოთხედფინალური შეხვედრები.

ფრენბურთელ ქალთა ოლიმპიურ ასპარეზობაში 8 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. პირველობა წრეობრივი სისტემით ტარდება. ჩვენ უკვე ვწერდით სსრ კავშირის ქალთა ნაკრების ორ გამარჯვებაზე (ჩეხოსლოვაკიასთან და პოლონეთთან). ამის შემდეგ საბჭოთა ფრენბურთელებმა კიდევ ორი მოგება იზეიმეს. მათ ჯერ პერუელები დაამარცხეს — 3:0 (15:4, 15:9, 15:9), შემდეგ კი სამხრეთ კორეის წარმომადგენლები — 3:0 (15:9, 15:6, 15:2). ტურნირში დაუმარცხებლად გამოდიან იაპონელებიც, დანარჩენებმა კი უკვე იწვნიეს მარცხი. გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს: პოლონეთი — სამხრეთ კორეა 3:2, პოლონეთი — აშშ 3:0, ჩეხოსლოვაკია — მექსიკა 3:0, ჩეხოსლოვაკია — აშშ 3:1, მექსიკა — პერუ 2:3, მექსიკა — იაპონია 0:3, სამხრეთ კორეა — პერუ 0:3, პერუ — იაპონია 0:3, აშშ — იაპონია 0:3.

საბჭოთა ფრენბურთელმა ვაჟებმა აშშ-ს სპორტსმენებთან მოულოდნელი მარცხის შემდეგ ზედიზედ 2 მატჩი მოიგეს. მათ ჯერ ბრაზილიელები დაამარცხეს — 3:1 (11:15, 15:2, 15:9, 15:9), შემდეგ კი ბულგარელები — 3:0 (15:10, 15:9, 15:10). უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აშშ-ს ფრენბურთელები ტოკიოში მხოლოდ IX ადგილზე იყვნენ, ხოლო 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ფინალშიც კი ვერ მოხვდნენ. წლეულს საბჭოთა ფრენბურთელებმა ბულგარელებთან 4 შეხვედრა წააგეს. ბულგარელებს უთუოდ ჰქონდათ რაღაც გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. ამჯერად ჩვენმა სპორტსმენებმა კარგად ითამაშეს და გამარჯვებაც იზეიმეს.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

## ოლიმპიადის ცაზლო

მძლეოსნობა

სამხტომი

1. ვ. სანეევი (სსრ კავშირი) — 17,39 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი).
2. ნ. პრუდენსიო (ბრაზილია) — 17,27
3. ჯ. ჯენტილე (იტალია) — 17,22
4. ა. უოკერი (აშშ) — 17,12
5. ნ. დუდკინი (სსრ კავშირი) — 17,09
6. ფ. მეი (ავსტრალია) — 17,02.

უროს ტყორცნა

1. დ. ჟივოცკი (უნგრეთი) — 73,36 (ოლიმპიური რეკორდი)
2. რ. კლიმი (სსრ კავშირი) — 73,28
3. ლ. ლოვასი (უნგრეთი) — 69,78
4. ტ. სუგავარა (იაპონია) — 69,78
5. შ. ეკსშმიდტი (უნგრეთი) — 69,46
6. გ. კონდრაშოვი (სსრ კავშირი) — 69,08.

5.000 მეტრზე რბენა

1. მ. გამუდი (ტუნისი) — 14.05,0
2. კ. კეინო (კენია) — 14.05,2
3. ნ. ტემუ (კენია) — 14.06,4
4. ხ. მარტინესი (მექსიკა) — 14.10,8
5. რ. კლარკი (ავსტრალია) — 14.12,4
6. ვ. მასრეშა (ეთიოპია) — 14.17,6

სიმაღლეზე ხტომა (ქალები)

1. მ. რეზკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 182 სმ
2. ა. ოკოროკოვა (სსრ კავშირი) — 180
3. ვ. კოზირი (სსრ კავშირი) — 180
4. ი. ვალენტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 178
5. რ. შმიდტი (გდრ) — 178
6. მ. ფაიტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 178.

110 მ. თარჯრბენი

1. ვ. დავენპორტი (აშშ) — 13,3 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ე. ჰოლი (აშშ) — 13,4

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

## ჭადრაკი...

თბილისში მიმდინარე ქალთა 28-ე საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა XI ტური. ყურადღების ცენტრში იყო ნ. ალექსანდრიასა და მ. რანიკუს შეხვედრა. იგი არ დამთავრებულა. გადადებულ პოზიციაში რანიკუს ზედმეტი პაიკი აქვს. თ. ზელოვამ მოუგო რ. ესტერკინას, თ. გოლოვეიმ — ნ. რუსინკევიჩს, ლ. რუდენკომ — ნ. მედიანიკოვას, ნ. კონოპლიოვამ — ლ. სტარჩენკოს. რ. ბილუნოვა — ტ. ზატულოვსკაიასა და ა. ჩაიკოვსკაია — ვ. ბორისენკოს შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. შულ — კაცკოვასა და ზვორიკინა — სანაძის პარტიები გადაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

MEXICO 68

# ბრძოლები ეკვატორზე

(დასასრული)

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: აშშ — ჩეხოსლოვაკია 1:3, ბრაზილია — ბელგია 1:3, ბულგარეთი — მექსიკა 3:0, ბულგარეთი — ბელგია 3:0, პოლონეთი — იაპონია 0:3, პოლონეთი — მექსიკა 3:1, გდრ — იაპონია 0:3, გდრ — ჩეხოსლოვაკია 2:3. ვაჟთა 10 გუნდის ტურნირში ჯერჯერობით დაუმარცხებლად გამოდიან იაპონელები და ჩეხოსლოვაკიელები.

წყალბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღოთ 16 ქვეყნის წარმომადგენლებს, მაგრამ ისე მოხდა, რომ ავსტრალიელები საასპარეზოდ არ დაუშვეს. ისინი მეხიკოში ჩავიდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ავსტრალიის წყალბურთის ფედერაციას განაცხადი არ ჰქონდა შეტანილი ხაერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, ამ უკანასკნელმა მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს უარი უთხრა. მეხამე მატჩი საბჭოთა წყალბურთელებს სწორედ ავსტრალიელებთან უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, ცხადია, შეხვედრა არ შედგა.

ტურნირის მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ჯგუფებში I-II ადგილებზე გასულნი შექმნიან ფინალურ ოთხეულს და აქ საბოლოოდ გაირკვევა ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობა. I ქვეჯგუფში გამოდიან სსრ კავშირის, კუბის, აშშ-ს, ბრაზილიის, გფრ-ის, ესპანეთისა და უნგრეთის წყალბურთელები, II ქვეჯგუფში — იაპონიის, საბერძნეთის, იტალიის, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის, გდრ-ის, მექსიკის, იუგოსლავიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა პირველ შეხვედრაში დაამარცხა კუბელთა გუნდი. მეორე მატჩი ჩვენებმა მოუგეს გფრ-ის სპორტსმენებს 6:3. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: კუბა — ბრაზილია 9:2, გფრ — ესპანეთი 5:3, უნგრეთი — გფრ 6:4, აშშ — ესპანეთი 10:7. ამ ჯგუფში დაუმარცხებლად იბრძვიან სსრ კავშირის, აშშ-ს და უნგრეთის გუნდები.

II ქვეჯგუფში გამართული სამი შეხვედრის შესახებ უკვე ვწერდით. გთავაზობთ დანარჩენი მატჩების შედეგებსაც: იაპონია — საბერძნეთი 8:7, იტალია — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა 10:1, გდრ — მექსიკა 12:4, გდრ — იუგოსლავია 4:4, ჰოლანდია — მექსიკა 8:1, საბერძნეთი — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა 7:6. აქ დაუმარცხებლად ლიდერობენ იტალიელები და ჰოლანდიელები.

წყალში მხტომელი ქალებიდან არავის უასპარეზია ისე წარმატებით, როგორც ეს თ. პოგოჟევამ შეძლო. მან ძალიან ძლიერ ამერიკელებთან ბრძოლაში მოიხვეჭა ვერცხლის მედალი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვერცხლის მედალი პოგოჟევას მოუტანა ბოლო ნახტომმა. საბჭოთა სპორტსმენმა ისე კარგად შეასრულა ნახტომი ტრამპლინიდან, რომ ერთ-ერთმა ამერიკელმა მსაჯმა ამ შეჯიბრებაში უმაღლესი შეფასება — 9 ქულაც კი გაიმეტა. ოქროს მედალი მოიხვეჭა ამერიკელმა ს. გოსიკმა — 150,77 ქულა. პოგოჟევამ 145,30 ქულა დააგროვა. III ადგილზეა ამერიკელი კ. ო'სალივანი, რომელიც პოგოჟევას 0,07 ქულით ჩამორჩა.

საშუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრება მეტად საინტერესო იყო. ბოლოსდაბოლოს ფიცარნაგზე ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონი — საბჭოთა ათლეტები ვ. ბელიაევი და ბ. სელიცკი. ორივემ ძალიან მაღალი შედეგი (485 კგ) აჩვენა. ეს მაჩვენებელი მსოფლიო რეკორდის გამეორებაა და 10 კილოგრამით მეტია საბჭოთა ძალოსნის, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონ რ. პლიუკფელდერის ოლიმპიურ რეკორდზე. ოქროს მედალი სელიცკის ხვდა, რადგან იგი წონით 300 გრამით ნაკლები აღმოჩნდა.

ქვემძიმე წონაში მოსალოდნელი იყო, რომ საბჭოთა ათლეტი ი. ტალტსი მსოფლიო რეკორდს დაიბრუნებდა სამშიდში. მაგრამ ფინელმა კ. კანგასნიემიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ ატარებს ამ მაღალ ტიტულს. მან ოლიმპიური ჩემპიონობა დამაჯერებლად მოიგო. ფინელის შედეგია 517,5 კგ. ტალტსი მას 10 კგ-ით ჩამორჩა. სამწუხაროდ საბჭოთა სპორტსმენს ისღა დარჩა, რომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 197,5 კგ.



თანამედროვე ხუთჭიდში საბჭოთა სპორტსმენების სროლაში წარუმატებლობის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ გუნდურ პირველობაზე ფიქრი ზედმეტი იყო. ხუთჭიდის ბოლო სახეობაში მძლეოსნურ კროსში კარგად გამოსვლამ ჩვენი ხუთჭიდელები საერთო გუნდურ II ადგილზე გაიყვანა. ასევე მოხდა პირად ჩათვლაშიც, ლედნიოვი IX ადგილზე იყო, მაგრამ მძლეოსნურმა კროსმა საბოლოოდ მას ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

კალათბურთელთა ტურნირში მონაწილეობენ 16 ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც დაყოფილი არიან 2 ქვეჯგუფად. მხოლოდ I-II ადგილებზე გასულნი მოიპოვებენ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის უფლებას. I ქვეჯგუფში გამოდიან აშშ-ს, ესპანეთის, იუგოსლავიის, პანამის, პუერტო-რიკოს, სენეგალის, იტალიისა და ფილიპინების გუნდები. II ქვეჯგუფში ასპარეზობენ სსრ კავშირის, პოლონეთის, ბრაზილიის, მაროკოს, მექსიკის, სამხრეთ კორეის, ბულგარეთისა და კუბის კალათბურთელები.

უკვე გაიმართა V ტური. ქვეჯგუფებში დაუმარცხებლად იბრძვიან მხოლოდ აშშ-ს და სსრ კავშირის წარმომადგენლები, სხვა გუნდები კი ვერ გადაურჩნენ მარცხს. ასპარეზობის 9 მატჩის შედეგის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. ქვემოთ გთავაზობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს:

I ტური. „ა" ჯგუფი. იუგოსლავია—პანამა 96:85 (51:45), პუერტო-რიკო — სენეგალი 69:26 (31:1[illegible]), იტალია — ფილიპინები 91:[illegible] (35:39). „ბ" ჯგუფი. ბრაზილია—მაროკო 98:52 (48:17), მექსიკა—ს[illegible] მხრეთ კორეა 75:62 (37:27), ბ[illegible] რეთი — კუბა 70:61 (19:27).

II ტური. „ა" ჯგუფი. აშშ — სენეგალი 93:36 (41:15), იუგოსლავია — პუერტო-რიკო 93:72 (49:4[illegible]), ესპანეთი — ფილიპინები 108:7[illegible] (46:34), იტალია — პანამა 94:8[illegible] (47:43). „ბ" ჯგუფი. ბრაზილია — ბულგარეთი 75:59 (42:29), პოლონეთი — სამხრეთ კორეა 77:6[illegible] (38:27), მექსიკა — კუბა 76:7[illegible] (35:29).

III ტური. „ა" ჯგუფი. ესპანეთი — პანამა 88:82 (37:45), იუგოსლავია — სენეგალი 84:65 (40:33).

IV ტური. „ა" ჯგუფი. აშშ — იუგოსლავია 73:58 (36:28), ესპანეთი — პუერტო-რიკო 86:62 (40:23), იტალია — სენეგალი 81:55 (41:24), პანამა — ფილიპინები 95:92 (38:48). „ბ" ჯგუფი. სსრ კავშირი — ბულგარეთი 81:56 (40:23), ბრაზილია — პოლონეთი 88:51 (35:26), კუბა — სამხრეთ კორეა 80:71 (34:29), მექსიკა — მაროკო 86:38 (42:15).

V ტური. აქ ცნობილია მხოლოდ ს[illegible] მი მატჩის შედეგი. „ა" ჯგ[illegible] იუგოსლავია — იტალია 80:69 ([illegible] თადი დრო დამთავრდა ანგარიშით 65:65, პირველი ტაიმი — 29:29). „ბ" ჯგუფი. სსრ კავშირი — კუ[illegible] 100:66 (52:35), მექსიკა — ბულგარეთი 73:63 (33:36).

* * *

სურათზე: თამაშების პრ[illegible] ზიორები სიმაღლეზე ხტომაში (მარცხნიდან) ვ. კოზირი, ა. ოკ[illegible] როკოვა (ორივე — სსრ კავშირი) და ჩეხოსლოვაკიელი მ. რეზკოვ[illegible]

# ყაზბეგიდან მეხიკომდე

მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მირიან ცალქალამანიძის სარბიელიდან წასვლის შემდეგ საქართველოს ნაკრებს უმძიმეს წონაში ძალიან გაუჭირდა. თავისუფალი ჭიდაობის სპეციალისტები ნიჭიერ ახალგაზრდებს ეძებდნენ. ეძებდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. თიკანაძეც.

— მახსოვს, ერთხელ „დინამოს" დარბაზში სამბისტთა საწვრთნელ მეცადინეობას ვესწრებოდი. დარბაზის ერთ კუთხეში გამხდარი ბიჭი იჯდა და ინტერესით უყურებდა წყვილთა შერკინებას. მასპინძელმა მითხრა: სამბოსთვის არ გამოდგება, არადა, დაუეინია მოჭიდავე უნდა გავხდეო, — გვიამბობს თიკანაძე, — სადაურობა ვკითხე. ყაზბეგელი ვარ, თბილისში ძმასთან ვცხოვრობო. მოვუწონე განზრახვა, თვითონაც მომეწონა. ჩემთან დავაწყებინე ვარჯიში.

ეს ბიჭი გახლდათ ტარიელ ალიბეგაშვილი, რომელმაც ერთი წელი „დინამოს" სექციაში გაატარა, შემდეგ მწვრთნელთა სკოლაში დაიწყო სწავლა და სარბიელზეც პირველად სცადა ძალა.

1965 წლის საკავშირო ჩემპიონატი თბილისის სპორტის სასახლეში ტარდებოდა. სპორტის მოყვარულებმა ასეთი დიდი ტურნირის სარბიელზე პირველად მაშინ იხილეს 18 წლის ალიბეგაშვილი, რომელიც შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა. ბოლოს მან ფინალშიც ისახელა თავი და ოქროს მედალი მოიპოვა. ახალბედა სპორტსმენის წარმატებას ბევრი შემთხვევითობას, იღბალს მიაწერდა. მით უფრო, რომ ალიბეგაშვილი ტოლიდოს მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა, შემდეგ წელიწადს კი სარბიელიდანაც გაქრა.

ნამდვილი მიზეზი ბევრმა არ იცოდა. ტარიელმა ტოლიდოში ერთ-ერთი ორთაბრძოლისას წელი იტკინა, მაგრამ ტურნირი არ მიუტოვებია და საბოლოოდ IV ადგილზე მაინც გავიდა.

— შინ დაბრუნებულს განკურნებამდე ვარჯიში ავუკრძალე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა დაგვეკარგა ალიბეგაშვილი, როგორც სპორტსმენი. ექიმებმა დიდხანს ვერაფერი დაადგინეს. ისევ თბილისის ფიზკულტურის საექიმო დისპანსერის ექიმმა თ. ჭანიშვილმა დასვა დიაგნოზი. მისი აზრი მოსკოვშიც დაადასტურეს და ჩემპიონის მკურნალობაც დაიწყეს, — გვითხრა თიკანაძემ.

ალიბეგაშვილის პირველი ჩემპიონობა რომ მხოლოდ იღბლიანობით არ აიხსნება, ამას სხვა შეჯიბრებებიც ადასტურებს. იმავე 1965 წელს ტალინის გუნდურ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა პირველობა მოიპოვა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ტარიელმაც, რომელსაც არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

— წესიერი, შრომისმოყვარე, ნიჭიერი, უშიშარი. — ასე დაახასიათა მწვრთნელმა ალიბეგაშვილი. — სსრ კავშირის ასეთი ახალგაზრდა ჩემპიონი საქართველოდან ჯერ არ გვყოლია. ტექნიკურად კარგად მომზადებულ სპორტსმენს თავისი სიტყვა ჯერ მაინც არ უთქვამს.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელობამ თავისუფალი ჭიდაობის უმძიმეს წონაში 3 კანდიდატი წამოაყენა. დაასახელეს ალიბეგაშვილი, ქვეყნის შარშანწინდელი და წლევანდელი ჩემპიონი, ქუთაისელი ზ. შეყრილაძე და ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაში გამარჯვებული ერევნელი ნ. ალბარიანი. საბოლოოდ არჩევანი ალბარიანზე შეჩერდა, მაგრამ მეხიკოს სტარტებამდე ცოტა ხნით ადრე ეს გადაწყვეტილება შეიცვალა. ნაკრების უფროსი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. დიაკინის წინადადებით გუნდში ალიბეგაშვილიც შეიყვანეს.

დიაკინს ბევრჯერ უნახავს ალიბეგაშვილი ხალიჩაზე და მისი ეიმედება. ქართველი მოჭიდავე ფიზიკური ძლიერებით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, მაგრამ ჩინებული ტექნიკა აქვს. მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში გამართულ ტურნირებში და წახკაძორის საკავშირო შეკრებაზე ალიბეგაშვილმა დაადასტურა, რომ ალბარიანს სჯობს კიდეც.

— როგორ ფიქრობთ, გუნდის ხელმძღვანელი მეხიკოს ხალიჩაზე ვის გამოიყვანს?

— წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ მწვრთნელებს ასე აქვთ დაგეგმილი: ტურნირამდე თუ ალიევის შეცვლა შეიქნა საჭირო, ალბარიანი შეცვლის და, რა თქმა უნდა, ალიბეგაშვილი ალბარიანის ადგილს დაიკავებს. სხვა შემთხვევაში: ალბარიან — ალიბეგაშვილის საკითხს მწვრთნელები ტურნირის წინ გამართულ თათბირზე გადაწყვეტენ. ასე რომ, სტარტისთვის ორივე მზად უნდა იყოს, — თქვა თიკანაძემ და დასძინა: მე ჩემი მოწაფის იმედი მაქვს. ძალიან ძლიერი მეტოქეები ეყოლება. მწვრთნელი ასახელებს მსოფლიოს ჩემპიონებს სამხრეთ კორეის წარმომადგენელს ჩან სუნ ჩანს, თურქ მ. ესენჯელის, იაპონელ ს. ნაკადას და ევროპის ჩემპიონს, ბულგარელ ე. ბაევს.

ო. გელაშვილი.

* * *



სურათზე: ტარიელ ალიბეგაშვილი.

# მედლები, ქულები

მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის

| | ო. | ვ. | ბ. | IV | V | VI | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 12 | 4 | 8 | 9 | 5 | 8 | 181 |
| სსრ კავშირი | 6 | 9 | 6 | 5 | 7 | 4 | 144 |
| უნგრეთი | 3 | 4 | 6 | 2 | 1 | 2 | 75 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 6 | 2 | 5 | 2 | 63 |
| გდრ | 1 | 2 | 2 | 6 | 8 | 3 | 62 |
| ავსტრალია | 2 | 4 | 2 | 3 | 1 | 4 | 57 |
| გფრ | 1 | 4 | 1 | 1 | 3 | 2 | 42 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4 | 1 | 40 |
| კენია | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 33 |
| ინგლისი | 1 | 2 | 1 | 2 | 0 | 1 | 28 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 27 |
| იაპონია | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 23 |
| შვეცია | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 23 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 18 |
| იტალია | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 17 |
| ფინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 15 |
| ირანი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 13 |
| დანია | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 13 |
| მექსიკა | 0 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 13 |
| ტუნისი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 11 |
| ავსტრია | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 8 |
| ეთიოპია | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 7 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| იამაიკა | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| კუბა | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 5 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 5 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ტაივანი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| სამხრეთ კორეა | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 4 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| სენეგალი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ნორვეგია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| პუერტო რიკო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |

შენიშვნა: ო. — ოქრო, ვ. — ვერცხლი, ბ. — ბრინჯაო, IV, V, VI — ადგილები, ქ. — ქულა.

# ჩვენი ოლიმპიელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

MEXICO 68

## რა სახეობებში გამოვლინდებიან ჩემპიონები

### დღეს

**მძლეოსნობა.** **ქალები.** ბირთვის კვრა. ესტაფეტა 4×100 მ; **ვაჟები.** მარათონი, სიმაღლეზე ხტომა. 1500 მ რბენა. ესტაფეტა 4×100 და 4×400 მ.

**თავისუფალი ჭიდაობა.** ფინალური შეხვედრები.

**ცურვა. ქალები.** 200 მ კომპლექსური ცურვა. 400 მ თავისუფალი სტილით ცურვა. **ვაჟები.** 200 მ კომპლექსური ცურვა.

**წყალში ხტომა. ვაჟები.** ტრამპლინი.

**ფარიკაობა. ქალები.** რაპირა. პირადი ტურნირი.

### ხვალ

**ველოსპორტი. ტრეკი.** გამოდევნებით გუნდური რბოლა. ტანდემებით ტურნირი.

**ცხენოსნობა. სამჭიდი.** ტურნირის დამთავრება.

**აფროსნობა.** ყველა კლასის ნავებით ფინალური რბოლები.

**ცურვა. ქალები.** 100 მ ბატერფლაით. **ვაჟები.** 100 მ ბატერფლაით. ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით.

**ტყვიის სროლა.** მცირეკალიბრიანი შაშხანა. სტანდარტი 3×40.

**ფარიკაობა. ვაჟები.** ესპადრონი. გუნდური შეჯიბრება.

## ოლიმპიური ჩემპიონი გააძევეს

**ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი.** ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურმა კომიტეტმა დღეს ამერიკის ოლიმპიური გუნდის შემადგენლობიდან გარიცხა მეხიკოს თამაშების ორი პრიზიორი — ზანგები ტ. სმითი და ჯ. კარლოსი. დასჯის მიზეზი იყო „დარღვევა კარგი მანერებისა, რაც ესოდენ ძვირად ფასობს შეერთებულ შტატებში“. 200 მეტრზე რბენაში სმითმა ოქროს მედალი მოიპოვა, კარლოსმა — ბრინჯაოსი.

საპატიო კვარცხლბეკზე ორივე ზანგი ავიდა უფეხსაცმელოდ — შავი წინდებით. ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნი რომ გაისმა, სმითმა და კარლოსმა მუშტებად შეკრული შავხელთათმანიანი ხელები აღმართეს.

ეს „კარგი მანერების დარღვევა“ არ იყო, ეს იყო პროტესტი შეერთებულ შტატებში არსებული რასიზმის წინააღმდეგ. შავი წინდებით შემოსილი ფეხები ამერიკელ ზანგთა სიღატაკეს გამოხატავდა სიმბოლურად, მუშტებად შეკრული ხელები კი აშშ-ს ზანგი ხალხის ერთიანობას.

იუპი-ს სააგენტოს ცნობით, მეხიკოში კორესპონდენტებმა 20 ამერიკელ ათლეტს გამოჰკითხეს აზრი ამ ამბის თაობაზე. 13 კაცმა მხარი დაუჭირა სმითსა და კარლოსს.

ათჭიდელთა შეჯიბრების მონაწილე ტომ უეიდელმა თქვა: მეგონა უფრო მეტი ზანგი სპორტსმენი მიბაძავდა სმითისა და კარლოსის მაგალითსო.

„ამერიკელ ბროდკასტინგ სისტემის“ სპორტული მიმომხილველი ჰ. კოსელი, რომელმაც ჯილდოს გადაცემის შემდეგ ინტერვიუ ჩამოართვა სმითს, გაოცებულია იმ ხმაურით, რაც აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელობამ სპრინტერთა ზემოხსენებული ქცევის შემდეგ ატეხა. მას შემდეგ, რაც წლეულს ამერიკის შეერთებული შტატების ზანგმა სპორტსმენებმა ოლიმპიური თამაშების საბოიკოტო მოძრაობა წამოიწყეს, მოსალოდნელი იყო, რომ ისინი მეხიკოში ამა თუ იმ ფორმით გამოხატავდნენ რასიზმის წინააღმდეგ პროტესტსო, — ამბობს მიმომხილველი.



## ოლიმპიადის ცაზლო

(დასასრული)

3. ე. ოტოზი (იტალია) — 13,4
4. ლ. კოულმენი (აშშ) — 13,6
5. ვ. ტუმილი (გფრ) — 13,6
6. ბ. ე. ფორსანდერი (შვეცია) — 13,7

**50 კმ სპორტული სიარული**

1. კ. ჰენე (გდრ) — 4:20.13.6
2. ა. კიში (უნგრეთი) — 4:30.17,0
3. ლ. იანგი (აშშ) — 4:31.55,4
4. პ. ზელცერი (გდრ) — 4:33.09,8
5. ს. ე. ლინდბერგი (შვეცია) — 4:34.05,0
6. ვ. ვისინი (იტალია) — 4:36.33,2

### თანამედროვე ხუთჭიდი

**პირადი ჩათვლა**

1. ბ. ფერმი (შვეცია) — 4.964 ქულა
2. ა. ბალცო (უნგრეთი) — 4.953
3. პ. ლედნიოვი (სსრ კავშირი) — 4.795
4. კ. კუჩკე (გდრ) — 4.764
5. ბ. ონიშჩენკო (სსრ კავშირი) — 4.756
6. რ. გეგენი (საფრანგეთი) — 4.756.

**გუნდური ჩათვლა**

1. უნგრეთი — 14.325
2. სსრ კავშირი — 14.248
3. შვეცია — 14.188
4. საფრანგეთი — 13.289
5. აშშ — 13.280
6. ფინეთი — 13.288.

### ცურვა

**ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით (ვაჟები)**

1. აშშ (ზორნი, რერიჰი, სპიტცი, უოლში) — 3.31,7 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. სსრ კავშირი (ბელიც-გეიმანი, მაზანოვი, კულიკოვი, ილიჩოვი) — 3.34,2 (ევროპის რეკორდი)
3. ავსტრალია (როჯერსი, კიუსაკი, უიდლი, უენდენი) — 3.34,7
4. ინგლისი — 3.38,4
5. გდრ — 3.38,8
6. გფრ — 3.39,0.

**კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ (ქალები)**

1. აშშ (ჰოლი, დენიელი, ბოლი, პედერსენი) — 4.28,3 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. ავსტრალია — 4.30,0
3. გფრ — 4.36,4
4. სსრ კავშირი (საველიევა, გრებენიკოვა, დევიატოვა, გრებენეცი) — 4.37,0 (სსრ კავშირის რეკორდი)
5. გდრ — 4.38,0
6. ინგლისი — 4.38,3.

### ფარიკაობა

**ესპადრონი**

1. ე. პავლოვსკი (პოლონეთი)
2. მ. რაკიტა (სსრ კავშირი)
3. პ. პეშა (უნგრეთი)
4. ვ. ნაზლიმოვი (სსრ კავშირი)
5. ი. ნოვარა (პოლონეთი)
6. რ. რიგოლი (იტალია).

### ველოსპორტი

**1000 მ გიტი**

1. პ. ტრანტენი (საფრანგეთი) — 1.03,9
2. ნ. ფრედბორგი (დანია) — 1.04,61
3. ი. კიეშკოვსკი (პოლონეთი) — 1.04,63
4. ჯ. სარტორი (იტალია) — 1.04,65
5. რ. გიბონი (ტრინიდადი და ტობაგო) — 1.04,66
6. ლ. ლოვესინი (ჰოლანდია) — 1.04,84

### ძალოსნობა

**საშუალო წონა**

1. ბ. სელიცკი (სსრ კავშირი) — 485 (150 + 147,5 + 187,5) ოლიმპიური რეკორდი
2. ვ. ბელიაევი (სსრ კავშირი) — 485 (152,5 + 147,5 + 185)
3. ნ. ოზიმეკი (პოლონეთი) — 472,5
4. დ. ვერეში (უნგრეთი) — 472,5
5. კ. არნოლდი (გდრ) — 467,5
6. ჰ. ზდრაჟილა (ჩეხოსლოვაკია) — 462,5.




როგორც ყველა ოლიმპიადას, მეხიკოს ასპარეზობასაც აქვს თავისი სუვენირების ბაზარი. აქ სუვენირს „ესკუდოს“ ეძახიან, როგორც ფულის ერთეულს. „ბაზარი“ ოლიმპიურ სოფელთანაა. საიდაც ქალაქის ყველა კუთხიდან იყრიან თავს სამკერდე და საფოსტო ნიშნების, ლია ბარათების, მონეტების მოყვარულნი. მექსიკელებში ყველაზე პოპულარული „ესკუდოა“ პატარა კოვბოი, რომლის სომბრეროსაც ტრადიციული ხუთი რგოლი ამშვენებს.

დიდი მოთხოვნილებაა საბჭოთა თოჯინებზე. მაგრამ მექსიკის გაზეთ „ოვასიონესის“ ცნობით, ყველაზე ძვირფასი ესკუდოა სიმპათიური თოჯინა, რომელიც მექსიკელ გოგონას აჩუქა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ნატალია კუჩინსკაიამ, ოქროს ოლიმპიური მედლის პრეტენდენტმა. ნატაშამ ხუმრობით დააწერა თავის საჩუქარს: „ეს მე ვარ“.

●

მექსიკელმა ჟურნალისტებმა მთელი რიგი ტიტულები დააწესეს ოლიმპიადის საუკეთესო სპორტსმენებისთვის. კენიელ ჯარისკაცს ნაფტალი ტემუს, რომელმაც პირველად გათამაშებული მედალი მოუტანა თავის სამშობლოს, ერთხმად მიაკუთვნა ტიტული: „სარბენი ბილიკის კასიუს კლეი“ (ცნობილი ზანგი სპორტსმენის, პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელის მიხედვით).

ბრაზილიის ფეხბურთის მეფემ პელემ ახალ როლში გადაწყვიტა გამოსვლა. ადრე ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს კაზის მომღერლობა სცადა, ახლა კი ტელევიზიასთან დადო ხელშეკრულება. სან-პაულოს კომპანიასთან ერთად მან უნდა შექმნას 25 ფილმი ჯაშუშებსა და სხვადასხვა დეტექტიურ თავგადასავალზე. პელე ითამაშებს მთავარ როლებს და თვითეული სურათისთვის მიიღებს გვარიან თანხას — 20-20 ათას კრუზეიროს.

იკითხავთ, რა შუაშია აქ მეხიკო? საქმე ისაა, რომ „მეფე“ ახლა სწორედ ოლიმპიურ თამაშებზეა. აქ იგი მექსიკის ფეხბურთელთა ტურნირისთვის არ ჩამოსულა. პელე აპირებს მეხიკოში გადაიღოს თავისი პირველი ფილმი, რომლის პირობითი სათაურია „ოლიმპიური ჯაშუშები“.

●

ოლიმპიელთა უმეტესობა გადამწყვეტი სტარტებისთვის ფარულად ამჯობინებს მზადებას. გამონაკლისს წარმოადგენენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები. მათ საწვრთნელ მეცადინეობას უკვე ბევრი უცხოელი კორესპონდენტი დაესწრო. გაზეთი „სოლ დე მეხიკო“ წერდა: „ისინი შეუპოვრად ილტვიან ტანვარჯიშის საიდუმლოებათა ამოცნობისკენ. მათი ინტერპრეტაციით ტანვარჯიში ბალეტისა და სპორტის შერწყმად იქცა“.

ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება მექსიკელებში დიდ ინტერესს იწვევს. „ნასიონალის“ აუდიტორიის შესასვლელთან, სადაც ეს შეჯიბრება ჩატარდება, დღენიადაგ რიგი დგას. უნდა აღინიშნოს, რომ თამაშებზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა მიიღეს შესაძლებლობა თავისუფლად დაესწრონ მთელ პროგრამას. გამონაკლისია გახსნისა და დახურვის ცერემონიები, მოცურავეთა, ფეხბურთელთა, მოკრივეთა ფინალური შეჯიბრებები და მთელი ტანვარჯიშული ტურნირი, სადაც სპეციალური საშვია საჭირო.

●

ოლიმპიურ სოფელში ხშირად შედიან სიმპათიური მექსიკელი ქალიშვილები (თუმცა არავინ იცის, როგორ ახერხებენ ამას). მათს ინტერვიუს ხშირად აქვეყნებენ ადგილობრივი გაზეთები. აი, მაგალითად, რა თქვა ერთ-ერთმა მათგანმა: „ყველაზე მეტად რუსი ფრენბურთელები მომეწონა, მაგრამ გული დამწყდა, რომ ამ გუნდის თითქმის ყველა წვერი ცოლიანი ყოფილა“...

●

მექსიკის სპორტულ მსროლელთა ოლიმპიური გუნდი კვლავ შეიარაღდა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით იპოვნეს უცნობი პირების მიერ ამ რამდენიმე დღის წინ მოპარული პისტოლეტები.

გაზეთი „პრენსა“ იუწყება, რომ რიო კონსულადოს ქუჩის რაიონში მორიგე პოლიციელებმა შენიშნეს ორი ფიგურა. ისინი საეჭვოდ მიაპარებოდნენ ჩემოდნებით ხელში. როცა პოლიციელებმა მოსთხოვეს, შეჩერდით და საბუთები წარმოგვიდგინეთო, მათ ჩემოდნები დაყარეს და კისრის ტეხით გაიქცნენ. პოლიციელებმა უცნობები ვერ დაიჭირეს...

რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა ჩემოდნები გახსნეს და... პისტოლეტები ნახეს. ამ პისტოლეტებს ხომ თითქმის მთელი მექსიკის სამძებრო პოლიცია დაეძებდა.

აი, იღბალი ამას ჰქვია. ახლა მექსიკის ოლიმპიელები თავისი ნაცადი იარაღით გამოვლენ.

## ხელმარჯვედ სცემენ ჩოგანსა

სსრ კავშირის წლევანდელ საჩოგბურთო მექად თბილისი აირჩიეს. და აი, ჩვენს დედაქალაქში გუშინწინ სტარტი მიეცა სსრ კავშირის 36-ე ჩემპიონატს. ჯერჯერობით ერთმანეთთან ურთიერთობას არკვევენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები, რომლებიც I და II ჯგუფებად არიან დაყოფილი. თვითეულ ჯგუფში გამოდის 8-8 გუნდი. II ჯგუფში გამარჯვებული მომდევნო გუნდურ ჩემპიონატში I ჯგუფის გუნდებს შორის გამოვა, I ჯგუფში უკანასკნელ ადგილზე გასული კოლექტივი კი შესაბამისად II ჯგუფში გადაინაცვლებს.

I ჯგუფშიც და მეორეშიც გუნდები 2-2 ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. შეხვედრები აქ წრეობრივი სისტემით გაიმართება. გამარჯვებულნი და II ადგილებზე გასულნი შექმნიან ნახევარფინალურ ჯგუფს, სადაც პირველობისთვის ბრძოლა გაგრძელდება ოლიმპიური სისტემით. III ადგილებზე გასულნი გაითამაშებენ V-VI ადგილებს, ხოლო IV ადგილებზე გასულნი — VII-VIII ადგილებს.

I ჯგუფის I ქვეჯგუფში იოლი გამარჯვება მოიპოვა „დინამომ“, რომელმაც დიდი ანგარიშით დაამარცხა „ბურევესტნიკი“ — 12:3. „დინამოს“ კოლექტივში გამოდიან საბჭოთა ჩოგბურთის ისეთი „ვარსკვლავები“, როგორიც არიან ბაკშეევა, მოროზოვა, მეტრეველი, ლეიუსი და სხვები. ბუნებრივია, ასეთი ძლიერი შემადგენლობის გუნდთან სტუდენტებს გაუჭირდებოდათ თამაში. სტუდენტთა გუნდიდან 3 ქულა მოიპოვეს კოლობოვამ (დაამარცხა სივოხინი), თბილისელმა ვ. აბაშკინმა (პავლოვი) და პოტანინმა (ჩაითვალა გამარჯვება ა. მეტრეველთან, ეს უკანასკნელი საპატიო მიზეზით ფინალამდე არ ითამაშებს). „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა განთიადელ ჩოგბურთელებთან შეხვედრაში — 13:5. განთიადელთაგან გუნდს ქულები მოუტანეს ივანოვამ (დაამარცხა კარპოვა), ახალაძემ (ხოხლოვი), ვერულავამ (ივლევი), მუსაელიანმა (დეგტიაროვი) და ლ. მძინარიშვილმა (ბელიაკოვი).

I ჯგუფის II ქვეჯგუფში დაძაბული ბრძოლა გაიმართა „ტრუდისა“ (I) და „სპარტაკის“ კოლექტივებს შორის. საბოლოოდ სპარტაკელებმა იმარჯვეს — 12:8. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრებმა „მშრალი“ ანგარიშით (15:0) დაამარცხა „ავანგარდი“. არმიელთა კოლექტივშიც, „დინამოს“ მსგავსად, ძლიერი ჩოგბურთელები გამოდიან. გუნდის სპორტულ ღირსებას იცავენ კული, დმიტრიევა, ეგოროვი, ივანოვი და სხვები. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ფინალში სწორედ დინამოელი და არმიელი ჩოგბურთელები შეხვდებიან ერთმანეთს.

II ჯგუფის I ქვეჯგუფში მატჩები ასე დამთავრდა: „კალევი“ — „ტრუდი“ (II) 8:5, „მოლდოვა“ — „ზენიტი“ 8:5. II ქვეჯგუფში „კრასნოე ზნამიამ“ მოუგო „ზახმეტს“ — 9:0, ხოლო „ყალგირისმა“ — „აშხატანქს“ — 8:1.

**მ. ქავთარია.**

## ლუგანოში საათები ჩართეს

შვეიცარიის ამ ქალაქში დაიწყო მოჭადრაკეთა XVIII ოლიმპიადა, რომელშიც 56 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ. გუნდები დაყოფილი არიან ნახევარფინალურ ჯგუფებად. საბჭოთა მოჭადრაკეებთან ერთად გამოდიან ინგლისის, ისრაელის, იტალიის, კვიპროსის, მექსიკის, პორტუგალიისა და ფილიპინების წარმომადგენლები. გაიმართა I ტური, რომელშიც საბჭოთა დიდოსტატები მექსიკელებს შეხვდნენ. ჯერჯერობით წინ სსრ კავშირის მოჭადრაკეები არიან — 3:0.

სსრ კავშირის პირველობა

# მიუხედავად გამარჯვებისა...

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 18 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 3:2 (1:0).

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი (ასათიანი), სიჭინავა, მეტრეველი, გავაშელი. მესხი.

მინსკი: გლუხოტკო, კუზნეცოვი, ზარემბო, სახაროვი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო, ადამოვი (კაბერსკი), მუსტიგინი, მალოფეევი, ვასილიევი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

მინსკელ ფეხბურთელებს თბილისის „დინამოზე“ საგრძნობლად უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ, თუმცა მეტად პრინციპული მატჩი ამ ორ გუნდს შორის მოიგეს თბილისელებმა. ჩვენ გვაინტერესებდა რა ძალებით იბრძვის მინსკელთა კოლექტივი? რა შესაძლებლობანი გააჩნია, რა მოთამაშეები ჰყავს, რომ ასეთ მაღალ შედეგებს აღწევს ბოლო წლების მანძილზე?

პირდაპირ უნდა ითქვას, ვერაფერი განსაკუთრებული მინსკელთა გუნდში ვერ ვნახეთ. ყოველ შემთხვევაში, თამაში მიმდინარეობდა ისე, რომ მასპინძლებს იოლად უნდა დაემარცხებინათ თავიანთი კონკურენტი და საერთო სიძლიერითაც მასზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. თითქმის არც ერთი ინდივიდუალური მონაცემების მქონე, მაღალი კლასის ფეხბურთელი მინსკის „დინამოში“ ვერ ვნახეთ. შედარებით გამოირჩეოდა ცენტრალურ თავდამსხმელთა დუეტი მუსტიგინი — მალოფეევი და მარცხენა მცველი სავოსტიკოვი.

მაშ, რის ხარჯზე აღწევენ ასეთ წარმატებებს მინსკელები? რა თქმა უნდა, უმთავრესად ძალთა უკიდურესი მობილიზების, ენთუზიაზმისა და თავდაუზოგავი შრომის ხარჯზე. მინსკელმა ფეხბურთელებმა არ იციან რა არის დაღლა, რა არის ძალების დაზოგვა და, ამას გარდა, მაქსიმალურად იყენებენ მოწინააღმდეგის კარის აღების თუნდაც სრულიად უმნიშვნელო შესაძლებლობებს და ეს დიდი მონდომებაც სათანადოდ დაფასებულია.

სწორედ ეს თვისებები აკლიათ ჩვენს ფეხბურთელებს. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან ისეთი ექსტრა-კლასის ფეხბურთელები, როგორც მეტრეველი, მესხი, ხურცილავა, სიჭინავა და სხვები, სრული უპირატესობით ჩაატარა ორივე ტაიმი, გოლის გატანის უამრავი ხელსაყრელი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა და თუმცა მეორე ტაიმში წინ იყო ანგარიშით 2:0, სათუოდ გაიხადა გამარჯვების საკითხი. სწორედ ამ დროს იყო საჭირო დარწმუნებული, დამაჯერებელი თამაში, ზუსტი ურთიერთმოქმედება რგოლებსა და ცალკეულ მოთამაშეებს შორის. თბილისელთა რიგები კი აირია. განსაკუთრებით ცუდად ითამაშეს მცველებმა, ხოლო მეკარე ურუშაძე ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა: ორივე გაშვებული გოლი მისი შეცდომების შედეგია.

თბილისელები დიდხანს უტევდნენ დასაწყისიდანვე. იერიშს ფლანგებიდან ტონს აძლევდნენ მესხი და მეტრეველი, მაგრამ მათი საუკეთესო გადაცემები უნაყოფოდ იკარგებოდა შეტევის ცენტრში. ბოლოს, 37-ე წუთზე კომბინაცია სიჭინავა — გავაშელი — სიჭინავა დამთავრდა ამ უკანასკნელის სწრაფი გასვლით საგოლე პოზიციაში და გატანილი გოლით — 1:0.

67-ე წუთზე მესხმა თავისი მორიგი რეიდი დაამთავრა გადაცემით მინდვრის შუაში. აქ ბურთი მიიღო სიჭინავამ, გააგრძელა კომბინაცია გავაშელისკენ, რომელიც თითქმის მოწინააღმდეგის კარის ხაზზე იმყოფებოდა. გავაშელს გოლის გატანა არ გასჭირვებია — 2:0.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო: თბილისელებს სრული სათამაშო უპირატესობა გააჩნდათ, აქტივში ჰქონდათ 2 გოლი, ხოლო მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. აი, აქ იჩინა თავი მასპინძელთა საერთო მოდუნებამ, შეცდომებმა. მინსკელები სულ უფრო და უფრო აძლიერებდნენ იერიშებს, საჭირო იყო ორგანიზებული, მოფიქრებული კონტრზომების მიღება. ნაცვლად ამისა, მასპინძლები სულ უფრო თმობდნენ პოზიციებს და 70-ე წუთზე მუსტიგინს საშუალება მიეცა გაექვითა პირველი გოლი. ბურთი ფორვარდმა ასე გაიტანა: მისი დარტყმა მოხვდა ძელს, შემდეგ კარიდან წინ გამოსულ ურუშაძეს და რიკოშეტით გავიდა კარში.

განვლო რამდენიმე წუთმა და თბილისელებს კიდევ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან. სავოსტიკოვმა შორი მანძილიდან ჩააწოდა ბურთი კარის მახლობლად. რასაკვირველია, ურუშაძე ვალდებული იყო გამოსულიყო წინ და აეღო ბურთი. ეს მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ მეკარე რატომღაც არ გაინძრა და მხოლოდ მოწმედ დაესწრო შემდეგ სურათს: მინსკელთა მარცხენა გარემარბი ვასილიევი ყველაზე მაღლა ახტა და თავით გაგზავნა ბურთი ბადეში — 2:2.

დარჩენილ მცირე დროში თბილისელები განუწყვეტლივ უტევდნენ და გოლიც როგორც იქნა, გავიდა. მესხის ძლიერ დარტყმას გავაშელმა მოუსწრო კარის წინ და გაიტანა გადამწყვეტი ბურთი — 3:2. იოლი გამარჯვების ნაცვლად, თბილისის „დინამოს“ 2 ქულა მხოლოდ რთული ბრძოლის შემდეგ ხვდა წილად.

**რ. ქორიძე.**

* * *



სურათზე: თამაშის მომენტი. თბილისელი გ. პეტრიაშვილი (მუქ მაისურში) მინსკელთა მცველებთან ბრძოლისას.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

## გუშინ...

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო დონეცკის „შახტიორი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

## „ბ“ კლასი

18 ოქტომბერს შედგა ბოლო ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ქობულეთიდან...

ის დიდი ინტერესი, რომელიც ფეხბურთის მოყვარულებმა გამოიჩინეს ადგილობრივი „შუქურასა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შეხვედრისადმი, სავსებით გასაგებია. ლანჩხუთელი ფეხბურთელები კარგა ხანია ერთპიროვნული ლიდერები არიან, მაგრამ ზონაში საბოლოო გამარჯვებისთვის მათ ესაჭიროებოდათ კიდევ 2 ქულა და „გურიის“ დამწევი უკვე არ იყო არავინ.

ამიტომ იყო, რომ სტუმრებმა პირველივე წუთებიდან მაქსიმალური ტემპი აიღეს და ლიდერის შესაფერისი თამაში აჩვენეს. გუნდი სწორად მოიქცა: საჭირო იყო გამარჯვების განაღდება თავიდანვე და აი, როცა მიმდინარეობდა მატჩის მე-18 წუთი, ანგარიში უკვე იყო 3:0 ლიდერის სასარგებლოდ. პირველი გოლის ავტორი იყო ძიძიგური, მეორე ბურთი გაიტანა პერტენავამ და მესამე — კოხრეიძემ. მართალია, „შუქურას“ ჰქონდა საპასუხო იერიშები, მაგრამ სტუმრებმა დამაჯერებლად დაასრულეს ტაიმი.

შესვენების შემდეგ ჯიქია — მანელიშვილის კომბინაცია ერთი საპასუხო გოლით დამთავრდა, მაგრამ „გურიამ“ კიდევ ერთხელ შეძლო თავისი იერიშის წარმატებით დამთავრება (ძიძიგური) და აიღო ის 2 ქულა, რომელიც მას პირველი ადგილის გასანაღდებლად ჰპირდებოდა.

გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კაჭარავა, ქირია, კვირკველია, ფილია, მენთეშაშვილი, შავდია, კოხრეიძე, ჩხარტიშვილი, პერტენავა, ძიძიგური, სიხარულიძე. გუნდის მწვრთნელია შ. კაკაბაძე.

**ლ. ტრაპაიძე.**

### ზუგდიდიდან...

განუწყვეტელი წვიმისგან ატალახებულ მინდორზე თამაში ძნელი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა ზუგდიდის „ენგურისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ შეხვედრა საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა და ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

ანგარიში მე-10 წუთზე გახსნა როგავამ. მცირე ხნის შემდეგ გაგიევმა ძლიერი დარტყმით საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ 30-ე წუთზე კემულარიამ ისევ დააწინაურა „ენგური“.

მე-60 წუთზე სირაძემ კარგად გამოიყენა სილაგაძის გადაცემა და თავით გაიტანა მესამე ბურთი. სპარტაკელებმა აქვე განახორციელეს სწრაფი კონტრიერიში, რაც მარგიევის მეორე საპასუხო გოლით დამთავრდა.

ამის შემდეგ უპირატესობა მთლიანად ზუგდიდელ ფეხბურთელებს ჰქონდათ. აბრალავამ, როგავამ და ალმასიამ ანგარიში აიყვანეს 6:2-მდე.

**გ. ალშიბაია.**

### გორიდან...

გორელ სპორტის მოყვარულებს თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ სასაყვედურო თავიანთი გუნდის მიმართ, ვინაიდან „დილამ“ წარმატებით განვლო ძნელი ტურნირი და მოიპოვა „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებულთა ფინალში თამაშის უფლება. გუნდმა მოიგო ბოლო ტურის შეხვედრაც ნევინომისკის „ხიმიკთან“ და ისიც დიდი ანგარიშით — 3:0, მაგრამ სწორედ ამ მოგებულ შეხვედრაში გამოვლინდა ნაკლოვანი მხარეები და თუ კოლექტივმა არ იზრუნა მათი დროული გამოსწორებისთვის, ფინალისტთა საპასუხისმგებლო ტურნირში ბრძოლა მას აუცილებლად გაუჭირდება.

ნევინომისკის გუნდთან შეხვედრაში „დილამ“ აბსოლუტური უპირატესობით ჩაატარა პირველი ტაიმი. სახიფათო მომენტებს „ხიმიკის“ კართან თვლა არ ჰქონდა, მაგრამ გორელთა თავდამსხმელები გადამწყვეტ მომენტებში მოქმედებდნენ უსისტემოდ, ქაოტურად, არაზუსტად ურტყამდნენ კარში და ფაქტიურად არად აქცევდნენ თავიანთ დიდ უპირატესობას.

წარმატება მოპოვებულ იქნა მეორე ტაიმში. პირველი ბურთი გაიტანა შეტევაზე გადასულმა ნახევარმცველმა გელდიაშვილმა, რასაც მოჰყვა კაპანაძისა და ბურჯანაძის კიდევ 2 გოლი. „დილამ“ გაიმარჯვა — 3:0.

**გ. გოზალიშვილი.**

# ფეხბურთი-68

უცხოეთში

## თასი არგენტინელებს დარჩათ

17 ოქტომბერს მანჩესტერში შედგა განმეორებითი მატჩი საკონტინენტთაშორისო თასზე ფეხბურთში. ადგილობრივმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიიღო ლა-პლატის (არგენტინა) „ესტუდიანტესი“.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა არგენტინელ ფეხბურთელებს მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:0 და ინგლისელებს საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად უნდა გაემარჯვათ მინიმუმ 2 ბურთის უპირატესობით. მაგრამ ასე არ მოხდა. ჯერ კიდევ მე-5 წუთზე „ესტუდიანტესის“ თავდამსხმელმა ვერონმა გახსნა ანგარიში და ამ გოლის გაქვითვას „მანჩესტერ იუნაიტედი“ მთელი მატჩი მოუნდა. საპასუხო ბურთი მორგანმა მხოლოდ 89-ე წუთზე გაიტანა.

ორი მატჩის ჯამში გამარჯვება (2:1) და მასთან ერთად თასიც წილად ხვდა „ესტუდიანტესს“. არგენტინა მეორე წელია ინარჩუნებს საკლუბო გუნდების ამ ყველაზე საპატიო პრიზს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტული ბანაკი

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი). 21 ოქტომბერი. სათადარიგო შემადგენლობანი, 22 ოქტომბერი. ძირითადი შემადგენლობანი.** დასაწყისი 16 ს. 15 წ.

**ჩოგბურთი.** „დინამოს“ კორტები (სანაპიროზე), თბილისის სპორტკავშირის მოედნები (მარჯანიშვილის ქ. № 29), „განთიადის“ მოედნები (პლეხანოვის პრ. № 117), ფიზკულტურის ინსტიტუტის მოედნები (ჭავჭავაძის პრ. № 49). **20 ოქტომბერი — 3 ნოემბერი. სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების პირად-გუნდური ჩემპიონატი.** დასაწყისი 10 ს.

**მძლეოსნობა.** „დინამოს“ სტადიონი. **20-22 ოქტომბერი. საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 11 ს.

**ძალოსნობა.** ლენინის სახელობის დარბაზი. **20 ოქტომბერი. ქალაქის თასი.** დასაწყისი 17 ს.

**რაგბი.** „იხანის“ სტადიონი. **20-27 ოქტომბერი. თბილისის პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი იუწყება თავისი მოსკოველი კორესპონდენტის, ფეხბურთის ცნობილი მიმომხილველის

**ვსევოლოდ ვლადიმერის ძე სტოიანოვის**

გარდაცვალებას.

# იალტის საკავშირო...

სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების იმ მძლეოსნებმა, რომლებიც ოლიმპიურ ნაკრებში ვერ მოხვდნენ, ამას წინათ იალტაში მოიყარეს თავი და პირად-გუნდური ტურნირი გამართეს. ოთხ არაოლიმპიურ სახეობაში ქვეყნის ჩემპიონთა მედლებიც გათამაშდა (ეს სახეობებია — ვაჟებისთვის 200 მეტრზე თარჯრბენი, ქალებისთვის — 100 მ და 200 მ თარჯრბენი, აგრეთვე 500 მეტრზე რბენა). გ. კუზნეცოვამ („ლოკომოტივი“) ჯერ 80 მეტრზე თარჯრბენში გამოიჩინა თავი (11,0), ხოლო შემდეგ 100 მეტრზე თარჯრბენში (13,9) ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

ორი გამარჯვება იზეიმა ა. იურკატამმაც („კალევი“), რომელმაც მოიგო 110 მეტრზე თარჯრბენი (13,8) და ჩემპიონი გახდა 200 მეტრზე თარჯრბენში — 23,1, 200 მეტრზე ასპარეზობდა ქუთაისელი ი. კოზელსკიც („დინამო“), რომელმაც ჩემპიონთან 0,3 წამი წააგო და IV ადგილს დასჯერდა.

მესამე ოქრო ხვდა ტაშკენტელ რ. ბაბიჩს, რომელმაც 200 მეტრზე ქალთა თარჯრბენში ყველაზე კარგი დრო (27,5) აჩვენა. მეოთხე მედალი — 500 მეტრზე რბენაში — დაისაკუთრა სსრ კავშირის რეკორდსმენმა ლ. ბრაგინამ — 4.21,0.

ბირთვის კვრაში გამარჯვებისთვის ძირითადად თბილისელი მ. ოყრომიძე („ბურევესტნიკი“) და ე. ტამერტი („კალევი“) იბრძოდნენ. ტამერტმა საბოლოოდ 17,6 მ. აჩვენა და 14 სანტიმეტრით აჯობა II ადგილზე გასულ ოყრომიძეს.

ათჭიდში 7-ათასიანი ზღვარი რვა ათლეტმა ჩამოიტოვა, პირველობა კი თბილისის დინამოელ ი. დიაჩკოვს დარჩა — 7517 ქულა. მან 400 მეტრზე რბენაში პირადი რეკორდი დაამყარა — 49,5 წამი აჩვენა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს: I ჯგუფში — „დინამომ“, II ჯგუფში — „კალევმა“.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11062